



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1360

23 / სექტემბერი / 2019 წ.



KA000018465308219

## ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N620274) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებება ZONDA BUS, YCK 6601F-ის (სარეგისტრაციო ნომერი XB882BX, გამოშვების წელი - 2005) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 19 აგვისტოს, N04/1119 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებება ZONDA BUS, YCK 6601F-ის (სარეგისტრაციო ნომერი XB882BX, გამოშვების წელი - 2005) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge), ლოტის N620274) რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 3100.00 (სამი ათას ასი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა გიორგი ხოჯავამ (პირადი N62004024417), მისამართი: გულრიფში, სოფელი დრანდა, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი: ქალაქი ფოთი, ბორის პაიჭაძის ქუჩა N48, რომელზეც 2019 წლის 06 სექტემბერს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N36.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ან/და აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შექენილი ქონების სრული ღირებულება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, 2019 წლის 06 სექტემბრის, N 02/3452 წერილით გიორგი ხოჯავას გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N36 და ეთხოვა ოქმში მითითებულ ვადაში გამოცხადებულიყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ასევე, გიორგი ხოჯავას აუქციონში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ([hojava@outlook.com](mailto:hojava@outlook.com)) გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N36 და ეთხოვა ოქმში მითითებულ ვადაში გამოცხადებულიყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი გიორგი ხოჯავამ (პირადი N62004024417) ოქმში მითითებულ ვადაში არ გამოცხადდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N620274) შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N620274) შედეგები.

**მუხლი 2.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება ZONDA BUS, YCK 6601F (სარეგისტრაციო ნომერი XB882BX, გამოშვების წელი - 2005, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბის N CV0486190), ფიზიკური პირი გიორგი ხოჯავამ არ გაიცეს საკუთრების უფლების მონუმბა და მის მიერ გადახდილი „ბე“ 200.00 (ორასი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.


**მუხლი 3.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე ([poti.gov.ge](http://poti.gov.ge)) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

**მუხლი 4.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 5.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

**მუხლი 6.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

გონა კურდღელია